ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი
აცხადებს
კონკურსს

V I C T O R I A

კლასიკურ (ძველ ბერძნულ და ლათინურ) ენებში

კონკურსი გაიმართება 2025 წლის 25 ივლისს 12 საათზე. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს (შედარებით რთული ტესტებით კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის).

საუკეთესო კონკურსანტი დაჯილდოვდება ტაო-კლარჯეთში მოგზაურობით, მეორე და მესამე ადგილზე გასული კონკურსანტები კი, შესაბამისად, საქართველოს ერთ-ერთი მხარის მონახულებით და ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამის, „ლოგოსის“ ვაუჩერით, „ლოგოსის“ გამოცემების შესაძენად. გამარჯვებულებს გადაეცემათ სერტიფიკატებიც.

ლათინურ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტებს სენტენციებისა და გრამატიკული მასალის ცოდნა შემდეგი წიგნიდან: მ.ფხაკაძე, ლ.ბერძენიშვილი, *ლათინური ენა*, 2 ტომ., თბილისი, 2008, 2009. მათ შორის: *არსებითი სახელი (5 კანკლედობა), ზედსართავი სახელები და მათი ხარისხების წარმოება, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები (მათ შორის: is, ea, id; hic, haec, hoc; ille, a, ud; ipse, a, um; quis, quid; qui, quae, quod; idem, eadem, idem; nemo, nihil), წინდებულები და მათი ბრუნვები, ზმნა: უღლება ყველა დროში, გვარსა და კილოში, esse, posse, fero, volo, nolo, malo ზმნების უღლება, დეპონენტური ზმნების უღლება, სუპინუმ I და II, გერუნდიუმი, გერუნდივუმი, მიმღეობები, დაკავშირებული მიმღეობა (participium coniunctum), სინტაქსური კონსტრუქციები: nom. duplex, nom. cum infinitivo, gen. obiectivus, gen. partitivus,gen. qualitatis, dat. commodi, dat. duplex, dat. finalis, dat. possessivus, acc. duplex, acc. cum inf., acc. temporis, abl. absol., abl. auctoris, abl. causae, abl. comparationis, abl. instrumenti, abl. loci, abl. separationis, abl. temporis; ასევე, cum-იანი და ut (ne) კონსტრუქციები; si realis, si irrealis, si potentialis; Consecutio temporum. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ, აგრეთვე:* H.Ørberg. *Lingua Latina per se Illustrata*, 2ტომ., 2003.

ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებს - სენტენციები და გრამატიკული მასალა წიგნიდან: ი.გაგუა, *Lingua Latina*, თბილისი, 2020.

ძველ ბერძნულ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ:

კლასიკური ფილოლოგიის სენტენციებისა და გრამატიკული მასალის ცოდნა შემდეგი წიგნებიდან: მ. მჭედლიძე, *Πολιτεία, ძველი ბერძნული ენა დამწყებთათვის*, თბ., 2012; ქ. აბესაძე, *ძველი ბერძნული ენა,* თბილისი, 1999; ა. ურუშაძე, *ძველი ბერძნული ენა,* თბილისი, 1969.

ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებს – სენტენციებისა და გრამატიკული მასალის ცოდნა ქ.აბესაძის გამოცემის 32 პარაგრაფის შესაბამისად.

ტესტი შედგება 7 კითხვისაგან: 7 სენტენცია (14 ქულა), სენტენციის გამოცნობა (3), ლათინური/ძველი ბერძნული ენებიდან მომდინარე საერთაშორისო ტერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ლათინურ (35) და ლათინურიდან ქართულ (30) ენებზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 15 ივლისიდან 22 ივლისამდე უნდა (ა) შეავსონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, და გააგზავნონ იგი (ბ) პირადობის მოწმობის ან სტუდბილეთის (მოსწავლის ბილეთის) ასლთან ერთად, ელექტრონულ მისამართზე: victoria.jugeli@tsu.ge. ამავე მისამართზე შესაძლებელია კითხვების დასმაც. კონკურსის ტესტების მსგავს ნიმუშთა გასაცნობად იხ. http://greekstudies.tsu.ge/?page_id=287. განაცხადის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამავე ვებგვერდიდან, ხოლო ბეჭდური ფორმით მისი მიღება და, სურვილისამებრ, შევსებულის დატოვება სტუდბილეთის (მოსწავლის ბილეთის) ასლთან ერთად - თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, თსუ VIII კორპუსის მესამე სართულზე, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 13.